




ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა, სამხრეთ კავკასია

ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა



პარტნიორი ქვეყნები:

სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო

დონორი:

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ)

პერიოდი:

ივნისი, 2008 – მაისი, 2016

ბიუჯეტი:

20.000.000 ევრომდე

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება

GTZ-ი დახმარებას უწევს საქართველოს მთავრობას ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნაში. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი ბიომრავალფეროვნების კარგვის პროცესის შენელებისა და საფრთხეში მყოფი სახეობებისა თუ ჰაბიტატების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მისაღები ზომების აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ მონიტორინგის სისტემის მიერ მოპოვებული მონაცემები უშადადებს საფუძველს იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელთა დახმარებითაც საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება იქნება შესაძლებელი. GTZ-ისა და საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის (CIM) დახმარებით მოხდა ბიომრავალფეროვნების ინდიკატორების შემუშავება და მიმდინარეობს მონიტორინგის სისტემის საცდელი ამუშავება, რომელიც გასტანს იქამდე, ვიდრე არ მიიღწევა სისტემის გამართული ფუნქციონირება და ინსტიტუციონალიზაცია.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის განხორციელება

ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის პროგრამის მთავარ საყრდენს წარმოადგენს საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა. პროგრამა ხელს უწყობს აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული იმ ქმედებების განხორციელებას, რომლებიც ემსახურება ბიომრავალფეროვნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის გაუმჯობესებისათვის დასახული მიზნების მიღწევას. პროგრამა ორიენტირებულია იმ ქმედებებზე, რომლებიც მეტყვეობის, ნადირობის, საძოვრებითა და ველური მცენარეებით სარგებლობის სფეროებში არსებული კონფლიქტების თავიდან არიდებას ან მინიმუმამდე შემცირებას შეუწყობს ხელს. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) დახმარებას სთავაზობს საქართველოს მთავრობას არსებული სიტუაციის გაანალიზებისა და პოლიტიკის შემუშავების საქმეში, სთავაზობს ასევე იურიდიულ კონსულტაციას. გარდა ამისა, მხარს უჭერს ბიომრავალფეროვნების მართვის თანამედროვე მეთოდების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი მოდელების შექმნაში.



ბიომრავალფეროვნების საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ბუნების მდგომარეობასა და ადამიანთა კეთილდღეობას შორის არსებული მჭიდრო კავშირის გაცნობიერება ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკის წინაპირობაა. GTZ-ი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობას გარემოსდაცვითი საინფორმაციო კამპანიების გაფართოებაში. პროგრამა ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო კამპანიებზე ორიენტირებული და მთავარ სამიზნე ჯგუფად სკოლის მოსწავლეები ჰყავს შერჩეული. სასწავლო სესიებთან და სპეციალურ სასწავლო მასალასთან შერწყმული საველე თამაშები და შემოქმედებითი სამუშაო ბიომრავალფეროვნებას მომხიბვლელ საკითხად აქცევს გადაწყვეტილების მიმღებთა მომავალი თაობებისათვის.

ტექნიკური თანამშრომლობის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში



ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის საფუძველზე შემოსავლის წყაროს შექმნა

საქართველოს სოფლის მოსახლეობამ და მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა, აღმოაჩინეს ბიომრავალფეროვნების ეკონომიკური ღირებულება, თუმცა ამასთანავე – მისი მოწყვლადი ხასიათიც ანუ ადვილად დაზიანების საფრთხე. ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის პროგრამა ხელს უწყობს ღირებულებათა ჯაჭვის შექმნას ვეღური მცენარეების შეგროვების საფუძველზე და ამ გზით თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს მდიდარი ბუნების ევექტიან დაცვასა და მისგან ეკონომიკური სარგებლის მიღებაში. გარდა ამისა, თანამშრომლობაზე წამოსული საწარმოების სერტიფიცირება, სერტიფიცირების საერთაშორისოდ აღიარებული სისტემის (FairWild) პრინციპებისა და სტანდარტების მიხედვით, საერთაშორისო ბაზრებს ხსნის საქართველოს ბუნებრივი პროდუქტებისათვის.

ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების მართვა საპილოტო ტერიტორიებზე

ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის პროგრამა ცხადყოფს, რომ ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა ბიომრავალფეროვნების კომერციული ქმედუნარიანობისა და მისი დაცვის ინტეგრაციას გულისხმობს. ბუნებრივი რესურსების მართვის ამ თანამედროვე კონცეფციის განსახორციელებლად შერჩეულ იქნა საპილოტო ტერიტორიები. პროგრამა მონაწილეობს ხარაგაულის რაიონში ტყის, კახეთსა და იმერეთში ვეღური მცენარეების და ასევე კახეთში საძოვრებისა და ფერმების მდგრადი მართვის მოდელების შექმნაში. საპილოტო ტერიტორიები ესაზღვრება დაცულ ტერიტორიებს ან შესაძლოა მათ ფარგლებშიც შევიდეს. GTZ-ის მიერ შემოთავაზებული ტექნიკური დახმარების საგანს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებთა, ადგილობრივი საწარმოებისა და სოფლის მოსახლეობის შესაძლებლობათა გაძლიერება და საჭიროებაზე მიმართული მხარდაჭერა.



კიდევ რა უნდა იცოდეთ?

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურის მთავარი პარტნიორები, ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის რეგიონული პროგრამის საქართველოში განხორციელების საქმეში, GTZ-ი და CIM-ია. ერთობლივად, ე.წ. „ბიოტოპიკის“ სახით, ჩვენ სისტემატურად ვაქვეყნებთ საინფორმაციო მასალებს ბიომრავალფეროვნებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ჩვენი ბიოტოპიკები შეგიძლიათ იხილოთ ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურში ან GTZ-ის პროგრამულ ოფისში, ასევე – ჩამოტვირთოთ შემდეგი ვებ-გვერდიდან: <http://biomonitoring.moe.gov.ge> ამ ვებ-გვერდზე თქვენ აგრეთვე იხილავთ დამატებით ინფორმაციას პროგრამის მიმდინარე ქმედებებზე საქართველოში.



ფოტოები: © GTZ, პარტმუტ მიულერი, ქრისტინა გონერი, დირკ ოსტერმაიერი



გარემოს დაცვისა და პუნებრივი
რესურსების სამინისტრო

გულუას ქ. 6
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995-32-727231

gtz

Deutsche Gesellschaft für Technische
Zusammenarbeit (GTZ) GmbH

ბიომრავალფეროვნების მდგრადი
მართვა, სამხრეთ კავკასია

გულუას ქ. 6, მე-6 სართული
0114 თბილისი, საქართველო
ტელ: +995-32-201828